

შ.პ.ს „მრავალპროფილიანი პროფესიული სასწავლო ცენტრი იმედის“ შინაგანაწესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1.1 შ.პ.ს „მრავალპროფილიანი პროფესიული სასწავლო ცენტრი იმედის“ (შემდგომში “ცენტრი”) შინაგანაწესი განსაზღვრავს დაწესებულების პროფესიული სტუდენტის, პერსონალის უფლება-მოვალეობებს, დაწესებულების სამუშაო განრიგს, დისციპლინარული გადაცდომის სახეებს, შედეგებს, წახალისების ფორმებს;

1.2 ცენტრის შინაგანაწესი დაწესებულების შიდა მოხმარების დოკუმენტია და მასში მოცემული ინფორმაცია არ არის განკუთვნილი უცხო პირთათვის;

1.3 ცენტრის შინაგანაწესის მოთხოვნათა შესრულება სავალდებულოა იმ პირთათვის, რომლებიც სწავლობენ, ან დასაქმებული არიან ცენტრში;

1.4 ცენტრი ვალდებულია წინამდებარე შინაგანაწესი ხელმისაწვდომი გახადოს პროფესიული სტუდენტების, და დასაქმებულთათვის;

1.5 ცენტრი დასაქმებულებთან, პროფესიულ სტუდენტებთან მიმართებაში, მოვალეობების განხორციელებისას ხელმძღვანელობს ცენტრის დებულებით, დირექტორის ბრძანებებით, ცენტრის სხვა სამართლებრივი აქტებით;

1.6 ცენტრის ადმინისტრაცია, ან/და შესაბამისი სტრუქტურული ერთეული უფლებამოსილია მოთხოვოს

ა) ცენტრის პერსონალს, პროფესიულ სტუდენტს, და ცენტრის ტერიტორიაზე მყოფ სხვა პირებს ცენტრის შინაგანაწესით ან/და სხვა სამართლებრივი აქტით განსაზღვრული წესების დაცვა;

1.7 ცენტრი ვალდებულია შექმნას სამუშაო გარემო და პირობები, უზრუნველყოს დასაქმებულთათვის შრომითი ანაზღაურების დროულად გადახდა, ყურადღებითა და პატივისცემით მოექცეს დასაქმებულთა ინიციატივებსა და წინადადებებს, იზრუნოს სათანადო სასწავლო გარემოს შექმნაზე, პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით, იზრუნოს პროფესიული სტუდენტის განვითარებაზე, მათთვის ღირებულებების გამომუშავების ხელშეწყობაზე;

მუხლი 2. სამუშაო დრო

2.1 ცენტრის სამუშაო დღეების რაოდენობა კვირაში 6 დღე – ორშაბათიდან შაბათის ჩათვლით, 10:00 სთ – 18:00 სთ, შესვენება გრაფიკით, კვირა – დასვენების დღეა.

2.2 ცენტრის ბიბლიოთეკა მუშაობს ყოველდღე, კვირის გარდა, შესვენების გარეშე დილის 10:00 სთ–დან 18.00 სთ–მდე ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით, შაბათს 10:00 სთ–დან 16:00სთ–მდე;

2.3 ცენტრში სასწავლო პროცესი ტარდება სასწავლო კალენდრის მიხედვით, კვირადღისა და უქმე დღეების გათვალისწინებით;

2.4 ცენტრში სასწავლო პროცესი –ლექცია/სამუშაო ჯგუფში მუშაობა/პრაქტიკული მოიცავს 60

წუთს (50+10წთ დასვენება);

2.5 სასწავლო კალენდარი განთავსდება ვებ-გვერდზე, რაც უზრუნველყოფს ხელმისაწვდომობას;

2.6 ცენტრი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უქმე დღეების გათვალისწინებით ადგენს

ა) სამუშაო გრაფიკსა და სასწავლო კალენდარს;

მუხლი 3. პერსონალის კატეგორიები და შრომითი ურთიერთობები

3.1 ცენტრის საქმიანობიდან გამომდინარე, დაწესებულებაში არის ადმინისტრაციული,

დამხმარე, მასწავლებლები;

3.2 ადმინისტრაციულ პერსონალს განეკუთვნება მასწავლებლების, პრაქტიკის ხელმძღვანელის, ან/და მოწვეული მასწავლებლების, ასევე დამხმარე პერსონალის გარდა სხვა დანარჩენი პერსონალი, რომელთანაც დაწესებულების დირექტორს აქვს გაფორმებული შრომითი ხელშეკრულება;

3.3 სასწავლო პერსონალს განეკუთვნება მასწავლებლები, საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელები, პრაქტიკის ხელმძღვანელი, პრაქტიკის მასწავლებელი ან/და მოწვეული სპეციალისტი,

3.4 ცენტრის პერსონალთან ფორმდება ინდივიდუალური შრომითი ხელშეკრულებები, რომელშიც განსაზღვრულია ხელშეკრულების ვადა, ხელფასის ოდენობა, მხარეთა უფლება-მოვალეობები, თანამდებობრივი ინსტრუქციები და სხვ.

მუხლი 4. ცენტრის პერსონალის, პროფესიული სტუდენტის უფლებები და მოვალეობები

4.1 ცენტრის პერსონალის უფლებები განისაზღვრება ცენტრის დებულებით,

შინაგანაწესით და შრომითი ხელშეკრულებით;

4.2 ცენტრის პერსონალს უფლება აქვს:

ა) დაიცვას თავისი პროფესიული ღირსება;

ბ) მიიღოს ინფორმაცია, გაეცნოს დოკუმენტებს, რომლებიც შეეხება მის უფლებებსა და ინტერესებს;

გ) ისარგებლოს ცენტრის ქონებით: ბიბლიოთეკით, საინფორმაციო და მატერიალურ-ტექნიკური ბაზით;

დ) შეარჩიოს სამუშაოს შესრულების მეთოდები და საშუალებები, რომლებიც ემსახურება ცენტრის მიზნების მაღალი ხარისხითა და თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად შესრულებას;

ე) მოითხოვოს ცენტრისაგან მისი პიროვნული და ქონებრივი უსაფრთხოების დაცვისათვის სათანადო ღონისძიებების გატარება;

ვ) ხელშეკრულებით გათვალისწინებული ოდენობითა და პირობებით მოითხოვოს და დროულად მიიღოს შრომითი ანაზღაურება;

ზ) ისარგებლოს ცენტრის პერსონალისათვის განკუთვნილი შეღავათებით;

თ) ისარგებლოს სხვა უფლებებით, რომლებიც ცენტრის მიერ დადგენილ დისციპლინარულ პრინციპებს არ ეწინააღმდეგება;

4.3 ცენტრის პერსონალი ვალდებულია:

ა) კეთილსინდისიერად, დროულად და კვალიფიციურად გაუძღვეს მასზე დაკისრებულ მოვალეობებს;

ბ) იმოქმედოს თანამდებობრივი ინსტრუქციების (უფლება-მოვალეობების) ფარგლებში;

გ) შეასრულოს ხელმძღვანელის მითითებები;

დ) მოითხოვოს ზეგანაკვეთური შრომის ანაზღაურება;

ე) დროულად გამოცხადდეს სამუშაო ადგილზე;

ვ) დაემორჩილოს ცენტრის სამართლებრივი აქტების მოთხოვნებს;

ზ) დაიცვას წესრიგი;

თ) დაიცვას სხვა პირების უფლებები და კანონიერი ინტერესები;

ი) დაემორჩილოს სხვა პირების სამართლიან მოთხოვნებს, შენიშვნებს, მითითებებს;

კ) პროფესიული წარმატების მისაღწევად ისარგებლოს კეთილსინდისიერი კონკურენციის პრინციპით;

ლ) გაუფრთხილდეს ცენტრის ქონებას;

მ) თავისი ქმედებით არ შეზღავდეს ცენტრის რეპუტაცია;

ნ) დაიცვას ბიბლიოთეკით სარგებლობის წესები;

4.4 ცენტრში სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას აკრძალულია მობილურის გამოყენება, როგორც მასწავლებლისათვის, ასევე, პროფესიული სტუდენტისათვის.

4.5 ცენტრის პროფესიულ სტუდენტთა ძირითადი უფლება-მოვალეობები განსაზღვრულია საქართველოს კანონმდებლობით და უფრო კონკრეტულად პროფესიულ სტუდენტთან დადებული ხელშეკრულებით;

მუხლი 5. შრომის ანაზღაურება

5.1 ცენტრის ადმინისტრაციის პერსონალს ხელფასი უნაზღაურდება შრომით ხელშეკრულებაში აღნიშნული ოდენობითა და პირობებით. მასწავლებელთა ან მოწვეულ სპეციალისტთა ანაზღაურების ოდენობა განსაზღვრულია ინდივიდუალურად შრომით ხელშეკრულებით.

5.2 მასწავლებლების, ჩრატქტიკის მასწავლებლის, პრაქტიკის ხელმძღვანელის ანაზღაურება

განსაზღვრულია შრომით ხელშეკრულებაში თითოეულთან ინდივიდუალურად;

მუხლი 6. დისციპლინური პასუხისმგებლობა

6.1 დისციპლინური პასუხისმგებლობა წარმოადგენს იურიდიულ პასუხისმგებლობას, რომელიც გამოიყენება ცენტრის როგორც პერსონალის, ასევე პროფესიული სტუდენტის მიმართ დისციპლინარული გადაცდომის შემთხვევაში;

6.2 დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძველია დაწესებულების სამართლებრივი აქტებით, დებულებებით, დადებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული ნორმების დარღვევა, ასევე ამ შინაგანაწესის პირველი, მეორე და მეოთხე მუხლებით განსაზღვრული ნორმების დარღვევა;

6.3 დისციპლინური პასუხისმგებლობის განხილვას ექვემდებარება გადაცდომები, რომლებიც ჩადენილია ცენტრის ტერიტორიაზე, აგრეთვე, ცენტრის მიერ, ან მისი მონაწილეობით ორგანიზებულ ღონისძიებებზე ცენტრის გარეთ;

6.4 დისციპლინური პასუხისმგებლობის წარმოების დაწყების საფუძველი, გარდა ადმინისტრაციის მიერ შემჩნევისა, შეიძლება გახდეს ცენტრის პერსონალის, პროფესიული სტუდენტის, გარეშე პირის, სახელმწიფო სტრუქტურის მოხსენებითი ბარათი ან/და განცხადება;

6.5 ცენტრის ტერიტორიაზე დადგენილი ქცევის წესების დარღვევის შემთხვევაში ცენტრის დაცვის თანამშრომელს (ან სხვა პერსონალს, რომელსაც თანამდებობრივი ინსტრუქციით ევალება) უფლება აქვს, მიიღოს საჭირო ზომები დამრღვევი პირის მიმართ, ხოლო თუ ქმედება შეიცავს ადმინისტრაციული დარღვევისა და დანაშაულის ნიშნებს, გამოიძახოს საპატრულო პოლიცია შესაბამისი რეაგირებისათვის;

6.6 დისციპლინური პასუხისმგებლობის განხილვა წარმოებს გადაცდომასთან დაკავშირებულ ყველა გარემოების სრული შესწავლის საფუძველზე;

6.7 ყოველი დისციპლინური დარღვევა განხილული იქნება ინდივიდუალურად დირექტორის მიერ.

6.8 დისციპლინური პასუხისმგებლობის განხილვის დაწყებამდე პირს ეძლევა შესაძლებლობა:

1) გაეცნოს ბრალდებას;

2) მისცეს ახსნა–განმარტება;

3) მოითხოვოს სხვა პირების ახსნა–განმარტების მოსმენა;

4) თავი იმართლოს, გამოთქვას თავისი მოსაზრებები და შეფასებები;

5) წარადგინოს დოკუმენტები, სხვა მტკიცებულებები;

6) მოტივირებული შუამდგომლობით მიმართოს დირექტორს დისციპლინური გადაწყვეტილების გაუქმების/შეცვლის მოთხოვნით.

6.9 ცენტრის პერსონალს შეიძლება დაეკისროს შემდეგი სახის სასჯელი:

ა) გაფრთხილება;

ბ) საყვედური;

გ) შრომის ხელშეკრულების შეწყვეტა;

დ) ზიანის ანაზღაურება;

ე) ხელფასის ოდენობიდან თანხის დაქვითვა;

6.10 საყვედურის მიღების შემდეგ განმეორებით ჩადენილი გადაცდომისთვის, ცენტრის პერსონალთან ავტომატურად წყდება შრომითი ხელშეკრულება;

6.11 ცენტრის პროფესიულ სტუდენტს შეიძლება დაეკისროს შემდეგი სახის დისციპლინური სასჯელები:

ა) გაფრთხილება;

ბ) საყვედური;

გ) პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერება;

დ) მატერიალური პასუხისმგებლობა;

6.12 საყვედურის მიღების შემდეგ განმეორებით ჩადენილი გადაცდომისთვის, პროფესიულ სტუდენტს ავტომატურად შეუჩერდება სტატუსი, რაზეც ცენტრის ადმინისტრაცია წინასწარ გააფრთხილებს;

6.13 დისციპლინური პასუხისმგებლობის შერჩევის საკითხს, სასჯელის გამოყენების, ან დისციპლინური განხილვის შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს დირექტორი.

მუხლი 7. პერსონალის წახალისება

7.1 ცენტრის პერსონალი, რომელიც გამოიჩენს ცენტრის საქმიანობაში განსაკუთრებულ გულისხმიერებას, აქტიურ მონაწილეობას მიიღებს სხვადასხვა სახის ღონისძიებებში, ცენტრის სახელით მოიპოვებს ჯილდოსა თუ შექებას წახალისდება სხვადასხვა ფორმით;

7.2 წახალისების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს დირექტორი

7.3 წახალისების ფორმებია:

ა) მადლობის გამოცხადება;

ბ) ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება;

გ) ხელფასის დანამატით გაცემა;

დ) ხელფასის ოდენობის მომატება;

ე) ადრე დადებული დისციპლინური სასჯელის ვადამდე მოხსნა.

მუხლი 8. პროფესიული სტუდენტის წახალისება

8.1 წარჩინებული სწავლისა და ცენტრის საქმიანობაში მიღწეული წარმატებისათვის, საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობისათვის, პროფესიული სტუდენტი წახალისდება შემდეგი ფორმით:

ა) მადლობის გამოცხადება;

ბ) ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება;

გ) ადრე დადებული დისციპლინური სასჯელის ვადამდე მოხსნა;

8.2 წარჩინებულ სწავლებად ითვლება დირექტორის ბრძანებით ინდივიდუალურად განსაზღვრული პირობა;

მუხლი 9. უქმე დღეები

9.1 1 და 2 იანვარი - ახალი წლის სადღესასწაულო დღეები;

9.2 7 იანვარი - უფლისა ჩვენისა იესო ქრისტეს შობის დღე;

9.3 19 იანვარი - ნათლისღება უფლისა ჩვენისა იესო ქრისტეს გავხადების დღე;

9.4 3 მარტი - დედის დღე;

- 9.5 8 მარტი - ქალთა საერთაშორისო დღე;
- 9.6 9 აპრილი - საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის მიღების დღე. საქართველოს ეროვნული ერთიანობის, სამოქალაქო თანხმობისა და სამშობლოსათვის დაღუპულთა მოგონების დღე;
- 9.7 სააღდგომო სადღესასწაულო დღეები - წითელი პარასკევი, დიდი საბატი, უფლისა ჩვენისა იესო ქრისტეს ბრწყინვალე აღდგომის დღე; მიცვალებულთა ხსენების დღე - აღდგომის მეორე დღე, ორშაბათი. (თარიღები გარდამავალია).
- 9.8 6 მაისი - გიორგობის დღე;
- 9.9 9 მაისი - ფაშიზმზე გამარჯვების დღე;
- 9.10 12 მაისი - საქართველოს ეკლესიის, როგორცამოციქულო საყდრის, დამაარსებლის - წმინდა ანდრია მოციგულისხსენების დღე;
- 9.11 26 მაისი - საქართველოს დამოუკიდებლობის დღე;
- 9.12 28 აგვისტო - ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების დღე. (მარიამობა).
- 9.13 14 ოქტომბერი - მცხეთობის (სვეტიცხოვლობის, კვართის დღესასწაულის) დღე;
- 9.14 23 ნოემბერი - გიორგობის დღე.

მუხლი 10. დასკვნითი დებულება

10.1 შინაგანაწესში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხდება დირექტორის გადაწყვეტილებით